დადგენილება #31/ 2024 სსიპ – თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის კომპოზიციისა და მუსიკოლოგიის ფაკულტეტზე 2025-2026 სასწავლო წლისათვის, კომპოზიციის საბაკალავრო პროგრამაზე - „მუსიკის თეორია“ მისაღები გამოცდების მოთხოვნებში ცვლილებების, ამავე ფაკულტეტზე 2025-2026 სასწავლო წლისთვის ქართულენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების მისაღები გამოცდების კოეფიციენტებისა და პრიორიტეტების დამტკიცებისა და კონსერვატორიის კომპოზიციისა და მუსიკოლოგიის ფაკულტეტზე მუსიკის ტექნოლოგიის ბაკალავრიატის პროგრამაზე მისაღებ ადგილებზე ქვოტების განაწილების შესახებ

დადგენილება N 31/2024
თარიღი: 02 დეკემბერი, 2024 წელი

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 53-ე მუხლის 1-ლი, მე-2 და მე-3 ნაწილების, 54–ე მუხლის პირველი ნაწილის, 56–ე მუხლის მე–2 ნაწილისა და 57–ე მუხლის, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2014 წლის 07 ივლისის № 05/90 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის წესდების“ მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „წ“ ქვეპუნქტის, კონსერვატორიის კომპოზიციისა და მუსიკოლოგიის ფაკულტეტის საბჭოს 2024 წლის 15 ნოემბრის #09 სხდომის ოქმის (კონსერვატორიის კომპოზიციისა და მუსიკოლოგიის ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარის ოთარ კაპანაძის No 863 27/ ნოემბერი/2024 წ. მოხსენებითი ბარათი) და აკადემიური საბჭოს 2024 წლის 02 დეკემბრის N15 სხდომაზე დაფიქსირებული პოზიციების ურთიერთშეჯერების საფუძველზე,

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. ა) დამტკიცდეს სსიპ – თბილისის ვანო სარაჯიშვილი სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის კომპოზიციისა და მუსიკოლოგიის ფაკულტეტზე 2025-2026 სასწავლო წლისათვის, კომპოზიციის საბაკალავრო პროგრამაზე - „მუსიკის თეორია“ მისაღები გამოცდების მოთხოვნებში ცვლილებები თანდართული დანართი 1 შესაბამისად;

ბ) დამტკიცდეს სსიპ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის კომპოზიციისა და მუსიკოლოგიის ფაკულტეტზე 2025–2026 სასწავლო წლისთვის ქართულენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების მისაღები გამოცდების კოეფიციენტები და პრიორიტეტები, თანდართული დანართი 2 შესაბამისად.

გ) დამტკიცდეს სსიპ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის კომპოზიციისა და მუსიკოლოგიის ფაკულტეტის მუსიკის ტექნოლოგიის საბაკალავრო პროგრამაზე მისაღებ ადგილებზე საგნების მიხედვით განაწილებული ქვოტები, თანდართული დანართი 3 შესაბამისად.

2. დადგენილება გადაეგზავნოს კომპოზიციისა და მუსიკოლოგიის ფაკულტეტის დეკანს, ფაკულტეტის შესაბამისი მიმართულებისა და პროგრამის ხელმძღვანელებს, სტუდენტთა მიღებისა და რეესტრის მართვის დეპარტამენტს, სასწავლო დეპარტამენტს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს.

3.დადგენილება განთავსდეს კონსერვატორიის ოფიციალურ ვებ-გვერდზე www.tsc.edu.ge;

4.წინამდებარე დადგენილება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლის დღიდან 1 თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, № 64).

5.დადგენილება ძალაში შედის გამოცემისთანავე.

პროფესორი გიორგი ვაჩნაძე

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი